# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №19(81) 2014 წ. 1-15 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი


## 5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა!

### ქართველო მასწავლებელო!

ქართველო მასწავლებელო
ქართლისა გამხარებელო,
ავდრისა გამდარებელო,
დარდისა გამქარვებელო,
ეჭვისა მიმომფანტველო,
სულისა გამნათებელო,
გულისა გამმაგრებელო,
ღამისა გამთენებელო,
დილისა გამცისკრებელო,
შუქისა გამვრცელებელო,
ენისა გამღმერთებელო
მომწუხრის ქვენა ღრუბელთან
მზის სხივად აღმოსართველო.
დიდება, შენდა დიდება –
მასწავლებელო ქართველო!!!

*მ. ფოცხიშვილი*

## „რთველი-2014“-ის ფინიშთან



**ჩვენი** მუნიციპალიტეტის ზვრებში დასასრულს უახლოვდება ხშირი წვიმების გამო შეფერხებული რთველი. ალბათ ერთ კვირაში უკვე ცნობილი გახდება რთვლის საბოლოო შედეგებიც. „რთველი-2014“-ის ცენტრალურ შტაბში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კოორდინატორის **გია ბუჩაშვილის** ცნობით და ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით რთვლის დაწყებიდან 13 ოქტომბრისათვის მუნიციპალიტეტში ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარებული იყო 8926 ტონა ყველა სახის ყურძენი, რაც ფულად გამოსახულებაში 13 162008 ლარს შეადგენს.

აქედან ამ დროისათვის რქაწითელი ჩაბარებულია 3475 ტონა (3599856 ლარი), საფერავი – 4258 ტონა (7983249 ლარი), კახური მწვანე) – 1125 ტონა (1523456 ლარი), შერეული ჯიშები – 70 ტონა (61448 ლარი).

გია ბუჩაშვილის ცნობით ჩვენს მუნიციპალიტეტში მოსალოდნელია კიდევ 100-120 ტონა ყველა სახის ყურძნის ჩაბარება.



რაც შეეხება ყურძნის შესასყიდ ფასებს – კილოგრამ კახურ მწვანეზე – 1.20, საფერავზე – 1.5-2.20, რქაწითელზე – ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებში – 1 ლარი, კერძო ბაზარზე კი – 1.50 ლარამდე შეადგინა.

იმის გათვალისწინებით, რომ ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებს გარდა, მოსახლეობამ კერძო ბაზარზეც მოახდინა ყურძნის რეალიზაცია და პირადი სარგებლობისთვისაც გამოიყენა, წლევანდელი გვალვიანი პირობების მიუხედავად, მუნიციპალიტეტში მოწეულია პროგნოზირებულზე მეტი ყურძენი.

## ირაკლი კუპატაძე მსოფლიო ჩემპიონია!

**სამხრეთ** კორეის ქალაქ სეულში მიმდინარე მსოფლიო პირველობაზე სამბოში ჭაბუკ ახალგაზრდებს შორის საგარეჯოდან **ირაკლი კუპატაძე** (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი) და ახალგაზრდებში **ზაურ მამარდაშვილი** (მწვრთნელი ნუკრი გაგნიაშვილი) იღებდნენ მონაწილეობას. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა ირაკლი კუპატაძემ, ზაურ მამარდაშვილმა კი III ადგილი და ბრინჯაოს მედალი.




**ზაურ მამარდაშვილი**



**ირაკლი კუპატაძე**

**ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ!**

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

**7 ოქტომბერი, 2014 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი, რომელშიც შვიდი საკითხი იყო შეტანილი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგეობა/საკრებულოს აპარატი) სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა* კახაბერ ხვთისავრიშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, ეს წესი განსაზღვრავს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგეობა/საკრებულოს აპარატი) სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს, რადგან სწორედ ამ წესის საფუძველზე აღნიშნულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, მათი პროფესიული ცოდნის გაღრმავება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და ყოველივე ამისათვის საჭირო პირობების შექმნა. საჯარო დაწესებულებაში სტაჟიორთა მიღება ხორციელდება ყოველწლიურად, ორ ნაკადად. პირველი შემოდგომის ნაკადის მიღება ხდება სექტემბერში, ხოლო მეორე, გაზაფხულის ნაკადის – მარტში. მომხსენებელი აქვე შეეხო დებულებით განსაზღვრული მუხლების მიხედვით სტაჟიორის სტატუსს, სტაჟიორის უფლებებსა და ვალდებულებებს, ასევე, თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელი პირების ვალდებულებას სტაჟიორის მიმართ, სტაჟიორის სხვა პირობებს, სტაჟირების დასრულებას და სერტიფიკატის გაცემას.



აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანამოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ* ალექსანდრე მეზვრიშვილმა.**

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

**კახაბერ ხვთისავრიშვილმა,** ასევე, მოხსენება გააკეთა დღის წესრიგის II საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“,*** რომელიც ეხება გამგებლის წარმომადგენლის მიერ ბეჭდის გამოყენების წესს. კონკრეტულად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებით დამტკიცებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებას დაემატა 14' მუხლი შემდეგი შინაარსით: „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს უფლება აქვს სამსახურებრივი ბეჭედი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ, კერძოდ, დაამოწმოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2014 წლის 23 სექტემბრის №69 ბრძანებით დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობის და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობები.“

სხდომაზე მოისმინეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსის ბექა ფეიქრიშვილის მოხსენებები – „ქ. საგარეჯოს კახეთის გზატკეცილი №7-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული და სოფელ პატარძეულში ე.წ. „უსტიანთ უბანში“ სასმელი წყლის ჭაბურღილის ახალი ტუმბოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომაზე დეპუტატმა ვეფხია (გოჩა) ჩერქეზიშვილმა (პროპორციული სისტემა „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“) გამოთქვა მოსაზრება – 2015 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ და სასმელი წყლის ჭაბურღილების ახალი ტუმბოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვების განხორციელებისათვის გამოყოფილი იყოს განსაზღვრული რაოდენობის თანხა, გამოაცხადონ ტენდერი და ტენდერში გამარჯვებულ ერთ კონკრეტულ პირს დაევალოს ახალი ტუმბოების შესყიდვა, მათზე პასუხისმგებლობა.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ელდარ მეფარიძის მოხსენება „ქალაქ საგარეჯოში მცხოვრებ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების ნუმერაციის შესახებ“.***

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

# რას გვპირდება ახლადშექმნილი სამსახური?!

## სიახლე



**სულ ახლახან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური, რომლის უფროსად ზურაბ კავთუაშვილი დაინიშნა. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, რომელიც შიდა აუდიტის ფუნქციებს გაგვაცნობს.**

***– ბატონო ზურაბ, თუ შეიძლება გაგვაცანით მოტივაცია თქვენი ამ სამსახურში მოსვლისა, რაც საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ თქვენს მიერ განვლილ გზასაც.***

– დიახ, სიამოვნებით. სამართალდამცავ ორგანოებში ოცდახუთწლიანი მუშაობის თეორიული და დიდი პრაქტიკული გამოცდილება, ჩემი მოღვაწეობის დროს შეძენილი უნარ-ჩვევები მაძლევს საშუალებას, თავი გავართვა შემოთავაზებულ თანამდებობას.

1987-2004 წლებში პროკურატურის ორგანოებში მუშაობის დროს ზედამხედველობას ვახორციელებდი შს ორგანოებში მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაზე, მონაწილეობა მაქვს მიღებული სახელმწიფო ბრალდების მხარდასაჭერად 300-ზე მეტ სასამართლო პროცესში. 2005-2007 და 2009-2011 წლების განმავლობაში ვმუშაობდი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, კერძოდ კი თელავში გამომძიებლის თანამდებობაზე, ხოლო 2007-2009 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროს გამომძიებლად, გამოძიებული მაქვს 200-ზე მეტი სხვადასხვა კატეგორიის საქმეები, მათ შორის უამრავი როგორც თანამდებობრივი, ასევე ფინანსურ დანაშაულებრივი ქმედებები. ამ პერიოდში ჩამომიყალიბდა ხელმძღვანელის პოსტზე მომუშავე პირისათვის საჭირო ისეთი თვისებები, როგორიცაა ამა თუ იმ საქმის დაგეგმვა, შესწავლა და ორგანიზება, თანამშრომლებისთვის სათანადო მითითებების მიცემა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს კონტროლი, მათი წახალისება თუ დასჯა, რაც ასევე უცილობლად წაადგება აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობას. ამდენად, ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ნებისმიერი საკითხის მაღალ დონეზე განხილვა და გადაწყვეტა. ვარ საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, თვითკრიტიკული, პრინციპული, კომუნიკაბელური და უშუალო. ჩემი ცხოვრების მკაცრმა წესმა ხშირად ოცდაოთხსაათიანმა მუშაობამ განაპირობა ის, რომ არასდროს არ ვიმყოფები სტრესულ ვითარებაში, პირიქით, ურთულესი საკითხების გადაწყვეტა და კანონის შესაბამისი შედეგების მიღება უფრო მახალისებს და ენერგიულს მხდის, მიყვარს გუნდური მუშაობაც.

მუშაობის პირველივე დღეებიდანვე (თუ ამის შესაძლებლობა მომეცა) განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ საშემსრულებლო დისციპლინას, თითოეული საქმის სწრაფად, ეფექტურად და სამართლიანად შესრულების მიზნით. საჯარო მოხელის უკანონო ქმედებების შესახებ მიღებული ინფორმაციისთანავე მოვახდენ მასში დაყენებული საკითხების სრულყოფილ ანალიზს, ჩავატარებ ინფორმაციის შემომტან პირთან ახსნა-განმარტებით მუშაობას, მასთან ერთად გავერკვევი თუ რამდენად სამართლიანია მისი მოთხოვნები, ზედმიწევნით შევისწავლი არა მარტო უკვე არსებულ ყველა მასალას, არამედ მოვიძიებ და გავაანალიზებ განმცხადებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რათა თითოეულ განცხადებაში, მასალებში, შეტყობინებაში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, სწორად, კანონის შესაბამისად უზრუნველვყო სამართლიანი მონიტორინგის ჩატარება, სტრუქტურული ერთეულების სამსახურებრივი შემოწმება, მაღალ დონეზე გავაანალიზო შემოწმების შედეგები, რის დროსაც როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის, ასევე, ნებისმიერი სამართალგადაცდომის კონკრეტული ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, მიეცეს სრულყოფილი სამართლებრივი შეფასება დამრღვევ პირთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გასატარებლად. მიღებული კანონიერი გადაწყვეტილებების ფონზე ყოველთვის ვიზრუნებ ჩემდამი რწმუნებული სამსახურის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე.

გარე აუდიტისგან განსხვავებით, შიდა აუდიტორული საქმიანობა შედარებით ახალი პროფესიაა როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ეს პროფესია მუდმივად იცვლებოდეს და იხვეწებოდეს. დღეისათვის მისი საქმიანობა რეგულირდება მთელი რიგი საკანონმდებლო დოკუმენტებით. როგორიცაა: საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ და სხვა. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის მიზანი, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება შიდა აუდიტის სუბიექტის დებულებით, რომელიც შესაბამისობაშია ზემოთ მითითებულ კანონებთან და შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსთან, შიდა აუდიტის სტანდარტებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №37 დადგენილებით დამტკიცებულია შიდა აუდიტის სამსახურის დებულება. იგი წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას. სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

სამსახური მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მეთოდური მითითებების, სტანდარტების და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინაშე არსებული რისკების დადგენა და შეფასება. გამგეობის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, გამგეობის სისტემაში ასიგნებების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მონიტორინგი, შეფასება, შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების რისკების განსაზღვრა, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება, მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა, მუნიციპალიტეტის აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მიერ დისციპლინისა და კანონიერების დაცვის კონტროლი, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა, ამ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება, ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება. იგივე სამსახური უფლებამოსილია გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაირკვეს, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, რამდენად სრულყოფილად არის დანერგილი მართვის და კონტროლის მექანიზმები და სხვა. განახორციელოს გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დისციპლინის და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი. სამსახურებრივი შემოწმების მეშვეობით გამოავლინოს თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და კანონიერი ინტერესების შელახვის, დისციპლინური გადაცდომის ფაქტები და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, მათი შესაძლებლობის რისკები. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მიიღოს, განიხილოს, შეისწავლოს შემოსული წერილები, შეტყობინებები, განცხადებები ან სხვა სახის ინფორმაცია და მოსაზრებები. მოახდინოს შემდგომი კანონშესაბამისი რეაგირება და რისკების მართვა. დღეისათვის სამსახური სწავლობს სხვადასხვა საკითხებს და მიღებული შედეგების შესაბამისად გაკეთდება სათანადო რეაგირებები.

***ჩაიწერა* თინა ილაურმა**

## სოფლის მეურნეობა

# ფირმა „ლომთაგორას“ ხორბლის ახალი ჯიშები

# თესვის სეზონი იწყება



საქართველოში ისტორიულად ხორბალი თითქმის ყველა მხარეში ითესებოდა და ნათესი ფართობი ხშირად 150000 ჰა-საც აღემატებოდა, საშუალო მოსავლიანობა კი ჰექტარზე 2.5 ტონას უტოლდებოდა. სამწუხაროდ, 1990-იანი წლების შემდეგ ხორბლის ნათესი ფართობი ქვეყანაში თანდათან შემცირდა, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1,1-1.5 ტონამდე დაეცა, რაც მეზობელ ქვეყნებს შორის ხორბლის მოყვანის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

წლეულს უჩვეულო წელიწადია. დიდი გვალვების გამო ჩვენს მუნიციპალიტეტში წინა წლებთან შედარებით ხორბლის მოსავალი უფრო დაბალი იყო. ბევრ ნაკვეთში ბევრმა ფერმერმა კომბაინიც კი აღარ შეიყვანა და თავიდან აიცილა ზედმეტი ხარჯების გაღება.

ფირმა „ლომთაგორა“ ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმოა შემორჩენილი ქვეყანაში, სადაც მარცვლეულის – ხორბლისა და სიმინდის პირველადი მეთესლეობა შენარჩუნებულია.

აქ საერთაშორისო სანერგეებიდან შემოტანილ ახალ ჯიშებზე ყოველწლიურად აწარმოებენ დაკვირვებას, უხვმოსავლიან ფორმებს არჩევენ და საქართველოს სხვადასხვა კლიმატური პირობების მიხედვით არაიონებენ.

საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ხორბლის მოსავლიანობის მხრივ, აქ შეუდარებლად კარგი ვითარებაა, მათ მარტო წელს 500 ტონაზე მეტი პირველი რეპროდუქციის მაღალი ხარისხის უხვმოსავლიანი სათესლე მასალის დამზადება შეძლეს.

„ლომთაგორა“ ქართველ ფერმერებს ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ, უხვმოსავლიან, მაღალი ხარისხის ხორბლებისა და სიმინდების ადგილობრივი ჯიშების სათესლე მასალას სთავაზობს. აღნიშნულ სამუშაოებს წარმატებით უძღვებიან დამსახურებული ქართველი მეცნიერები.

საქართველოში ფირმა „ლომთაგორას“ გარდა ჯიშურად გამოცდილი დარაიონებული ხორბლის სათესლე მასალის ყიდვა შეუძლებელია, რადგან ასეთი თესლი სხვაგან არ იწარმოება. დაურაიონებელი, გამოუცდელი თესლის დათესვა კი კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ვერაფრით განსაზღვრავ, რა შედეგს მიიღებ. ადრე ჩვენს ქვეყანას გააჩნდა უამრავი საცდელი სადგურები, სადაც იცდებოდა თესლი და ისე ითესებოდა. ბოლო წლებში იგი მთლიანად განადგურდა, ამიტომაც არიან ჩვენი ფერმერები გამოუვალ მდგომარეობაში და ყველანაირი თესლის მიმართ დაკარგული აქვთ ნდობა. ჩვენი ხორბლის სათესლე მასალაზე ქვეყნის მოთხოვნილების 10 %-საც კი ვერ ვაკმაყოფილებთ. დანარჩენი 90% უცხოეთიდან შემოდის, ან ადგილზე მზადდება (იგულისხმება ფერმერის მიერ მოწეული მოსავლის უკან ჩაბრუნება წლების განმავლობაში, რაც დაუშვებელია). 4-5 რეპროდუქციის თესლს უკვე აღარც ჯიშური თვისებები აქვს, აღარც სიწმინდე და აღარც ხარისხი. ზიანდება მიწის ნაყოფიერება და სტრუქტურა, ამიტომაა შედეგიც რომ შესაბამისი დგება.

ფირმა „ლომთაგორა“ ბოლო წლებია სტაბილურად მაღალხარისხიანი ხორბლის თესლს ამზადებს. აღნიშნული ფირმა ჩვენს მუნიციპალიტეტში ხსნის სპეციალიზებულ მაღაზიას და ჩვენს ფერემერებს შესთავაზებს, როგორც ფხიან, ისე უფხო ჯიშის საშემოდგომო ფორმის ხორბლებს, რომლებიც ყინვაგამძლეა, ამასთან, მდგრადია სოკოვანი დაავადებების მიმართ; ხასიათდებიან მარცვლის დადებითი ხარისხობრივი მაჩვენებლებით და საშუალო მოსავლიანობა ჰა-ზე 5 ტონაა. აქვეა შესაძლებელი „ტრიტიკალეს“ შეძენაც. იგი ხორბლის და ჭვავის შეჯვარებითაა მიღებული და მეცხოველეობისათვის ძალიან კარგი კულტურაა, რაც ჩვენთან აუცილებლად უნდა დაინერგოს. სამწუხაროდ, ჩვენი ფერმერები ამ კულტურას კარგად არ იცნობენ, არადა, იგი საუკეთესო საფურაჟე მასალაა და მაღალი საკვები ღირებულებებით გამოირჩევა.

საშემოდგომო ხორბლის მოყვანის დროს დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ წინამორბედის შერჩევას, ნიადაგის დამუშავების ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მცენარის ფესვთა გავრცელების არეალში ოპტიმალური წყალ-ჰაეროვანი რეჟიმის შექმნას, კონტროლს მცენარის დაავადებათა, მავნებელთა და სარეველათა მიმართ; მცენარის უზრუნველყოფას მაკრო და მიკროელემენტებით, ნიადაგში ტენიანობის სასურველი რეჟიმის დაცვას.

ხორბლის შეძენის მსურველებს შეუძლიათ მოგვაკითხონ ჩვენს სამსახურს, რომელიც მდებარეობს საგარეჯოში, დ. აღმაშენებლის ქ. №15-ში.

*ნიკო ჯავახიშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.***

# სიახლე: პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

# სკოლაში პრობლემის აღმოსაფხვრელად



ნინო ქურდოვანიძე

**საგანმანათლებლო** დაწესებულის მანდატურის სამსახურში 2013 წლის ნოემბრიდან დაიწყო პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია IX-XI კლასის მოსწავლეების დახმარება საკუთარი ინტერესების, უნარების და პიროვნული მახასიათებლების გაცნობიერების გზით პროფესიულ ორიენტაციაში. 2014 წელს პროგრამა საპილოტე ხასიათს ატარებს და ის საქართველოს მასშტაბით ხუთასამდე საჯარო სკოლაში ხორციელდება.

საგარეჯოში ზემოაღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებაზე ***სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები*** **ნინო ქურდოვანიძე** და **მანანა ტაბატაძე** ზრუნავენ. სწორედ მათ გავესაუბრეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი პროექტის შესახებ.

***– როდის ჩამოყალიბდა და რას მოიცავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა?***

– პროგრამა 2013 წლის ნოემბრიდან, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა დაიწყო. ის მიზნად ისახავს IX-XI კლასის მოსწავლეების დახმარებას პროფესიის სწორად არჩევაში, იმის გათვალისწინებით თუ რა უნარები, შესაძლებლობები და ინტერესები გააჩნიათ. თვეში ერთხელ, სადამრიგებლო საათის ფარგლებში ტარდება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, ექსკურსიები და შეხვედრები. გაკვეთილებში ინტერაქტიული სწავლების მეთოდებია გამოყენებული და მოსწავლეებს ეხმარებათ უკეთ გაეცნონ საკუთარ შესაძლებლობებს და განივითარონ გადაწყვეტილების მიღების უნარები. პროგრამის ფარგლებში ეწყობა ექსკურსიები ორგანიზაციებსა თუ საწარმოებში, ასევე უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში. გარდა ამისა, მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, იგეგმება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რაც ეხმარებათ მათ უკეთ გაეცნონ პროფესიის მოთხოვნები და მისი არსი.

***– რას გულისხმობს პროფორიენტაცია?***

– ზოგადად, პროფორიენტაცია გულისხმობს ადამიანის დახმარებას სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში, მის ინფორმირებას პროფესიათა სამყაროზე და პროფესიების მოთხოვნების შესახებ. ასევე საკუთარი პროფესიული უნარების გამოვლენას და იმის განსაზღვრას, თუ რომელი პროფესიის მოთხოვნებს შეესაბამება. ჩვენი პროგრამის შემთხვევაში, ვიყენებთ ე.წ. კურიკულუმის მოდელს, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილის არსებობას გულისხმობს.

***– რაში მდგომარეობს პრობლემა?***

– იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში აქამდე არ არსებობდა სისტემა, რომელიც იზრუნებდა პროფორიენტაციაზე, ხშირად ვაწყდებოდით მცდარი პროფესიული არჩევანის შემთხვევებს. მოზარდები თუ ზრდასრულები არ იცნობენ პროფესიათა სამყაროს და ხშირად არასწორი წარმოდგენა აქვთ მასზე. მცდარი პროფესიული არჩევანის გამო ვერ ახერხებენ თვითრეალიზაციას, რაც თავის მხრივ აქვეითებს მათ შრომითუნარიანობას, ეს კი საბოლოოდ ეკონომიკაზე აისახება.

***– რა უნდა გაკეთდეს პრობლემის აღმოსაფხვრელად?***



– პირველი პროფესიული არჩევანი, როგორც წესი მოზარდობის პერიოდში კეთდება. რადგანაც სკოლა ის დაწესებულებაა, სადაც მოზარდი ყველაზე მეტ დროს ატარებს და მისი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენა ხდება, სწორედ იქ უნდა დავიწყოთ პროფორიენტაციაზე აქტიური მუშაობა. მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია პროფესიებზე, დავეხმაროთ უკეთ გაეცნონ საკუთარ უნარებს და ასევე საშუალება მივცეთ პრაქტიკაში მოსინჯონ საკუთარი შესაძლებლობები. სწორედ ამ კუთხით მუშაობს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა.

***– ხომ ვერ გვეტყვით დღეისათვის რა აქტივობები განხორციელდა საგარეჯოში პროგრამის ფარგლებში და რა იგეგმება სამომავლოდ?***



მანანა ტაბატაძე

– 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან მე-9 კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები კლასის ხელმძღვანელის მიერ და ჩვენი თანამონაწილეობით. 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მუნიციპალიტეტის მასშტაბით სამ საჯარო სკოლაში ხორციელდებოდა, ახლა უკვე 10 საჯარო სკოლას მიცავს (სამასამდე მოსწავლე). შედგა გაფართოებული შეხვედრები ფსიქოლოგთან (ოკუპაციის თერაპევტი) ქალბატონ სოფო წიგნაძესთან და იურისტთან ბატონ შალვა ხვთისავრიშვილთან (სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი საერთო სპეციალიზაციით). განხორციელდა ექსკურსიები საგარეჯოს ბავშვთა ფიზიკური რეაბილიტაციის ცენტრში და სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში (სურათზე). შედეგად კი მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ თუ: რას გულისხმობს კონკრეტული პროფესიები , რომელი მიმართულებები გამოიყოფა, რა საბაზისო ცოდნაა საჭირო მომავალი კონკრეტული სპეციალისტისთვის და რა სახის დატვირთვასა და ძალისხმევას მოითხოვს ესა თუ ის პროფესია. ასევე, დასაქმების რამდენად რეალური შესაძლებლობებია და ა.შ.

სამომავლოდ საპილოტე სკოლების რაოდენობა კიდევ გაიზრდება და საბოლოოდ ყველა საჯარო სკოლას მოიცავს.

***– წარმატებებს გისურვებთ ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში.***

– მადლობა.

# 5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა, გილოცავთ!

## ჩვენი მთიანი სოფლის პედაგოგები

### უჯარმა

**თბილისთან** ახლოს ასე არც ერთი ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელი არ არის, მაგრამ მთის მძიმე კლიმატურ პირობებთან გამკლავება მაინც უწევთ. სულ 30 კილომეტრია იმ გაზსადენის მტავარი მაგისტრალიდან, სადაც ისინი ცხოვრობენ, მაგრამ ბუნებრივი აირი სოფელში ჯერაც არ არის შეყვანილი... სამაგიეროდ, ძალიან ლამაზი, მტირალა ტირიფებში ჩაფლული ორსართულიანი შენობა აქვთ უჯარმელებს სკოლად. გარედან გარემონტებული,



მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, რკინის კაპიტალური შესასვლელი კარით, 6 ახლადგარემონტებული ოთახით.

სკოლაში 53 მოსწავლეა. აქედან 5 პირველკლასელი და არც ერთი მეთორმეტეკლასელი. ამ 53 მოსწავლესთან საკლასო ოთახებში გაკვეთილის ჩასატარებლად 16 პედაგოგი ემზადება ყოველდღიურად. თავიანთი საფიქრალ-საზრუნავით მოდიან სკოლაში ნინო დურგლიშვილი, ია რევაზიშვილი, თამილა ხუცურაული, ეკა კიბ-

დასასრული მე-4 გვ.



# 5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა, გილოცავთ!

## ჩვენი მთიანი სოფლის პედაგოგები

**დასასრული**


პედაგოგი მზია სონიძე

აბიძე, ციცინო მარფაშვილი, მზია სონიძე, მზია ჯაშიაშვილი და სხვები, მაგრამ იმ საფიქრალ-საზრუნავს სკოლის ეზოს ჭიშკართან ტოვებენ და ხალისიანად შედიან სკოლის შენობაში, რადგან სხვანაირად არც შეუძლიათ...

საკლასო ოთახებში კი ის მოსწავლეები ელოდებიან, რომელთა სწავლის ხარისხზე სწორედ თავად პედაგოგები არიან პასუხისმგებელი.

სკოლის მენეჯერმა ნინო დათუნაშვილმა, რომელიც გერმანული ენის და ლიტერატურის სპეციალისტია დირექტორობის ვადის გასაგრძელებლად ჩატარებულ კონკურსში მართლაც რომ მაღალი ქულები მიიღო...

**პირველკლასელები – ისინი ხუთნი არიან**

ნიკოლოზ წიკლაური, მარიამ ნავროზაშვილი, ლევან რევაზიშვილი, დავით დათუნაშვილი, ქეთევან ნათობიშვილი – მეცნობიან უჯარმის საჯარო სკოლის პირველკლასელები და ცნობისმოყვარე, ოდნავ დარცხვენილი თვალებით შემოგვყურებენ...


პედაგოგი ეკა კიბაბიძე და დათო ქისტაური

გაკვეთილებზე შემოდგომის ზეიმისთვისაც ემზადებიან. მათ მომზადებაში კი პედაგოგის 30 წლიანი გამოცდილება აქვს მათ მასწავლებელს მზია სონიძეს. მზია მასწავლებელს მათთან ერთად ერთი მესამეკლასელი ცოტნე ნიკოლოზაშვილიც ჰყავს. ასეა აქ, კლას-კომპლექტები I-III და II-IV კლასები ერთ საკლასო ოთახში და ერთ მასწავლებელთან...

დიახ, დემოგრაფიული პრობლემა ბევრ სირთულეს ქმნის შემდეგში...

**სამი მეექვსეკლასელი** საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგ ეკა კიბაბიძესთან ერთად კომპიუტერთან მათთვის საინტერესო დავალებას ასრულებენ. ლევან კიბაბიძეს და თამაზ რევაზიშვილს ტექსტის აწყობა აქვთ დავალებული, დათო ქისტაურს – ქვეყნების დროშების მოძიება. ჩუმად, ინტერესით სხედან ბიჭები, თუმცა დათოს მაინც გავესაუბრეთ – ინტერნეტის საშუალებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანას გავეცანი, ვნახე მსოფლიოს შვიდი საოცრება, მოვიძიე ქართველი მწერლების ბიოგრაფიები, შემოქმედება და სურათები. ხელოვნებაში კი ძალიან ბევრი მასალა მოვიძიეთ, ამოვბეჭდეთ და მუშაობას ვაგრძელებთ. სახლში სულ 20-25 წუთს მაძლევენ ინტერნეტში შესასვლელად. მეტი ჯერ-ჯერობით არ შეიძლებაო...


ლევან კიბაბიძე და თამაზ რევაზიშვილი

მასწავლებლის დღეს ვულოცავთ აქაურ პედაგოგებს, ქართული სულითა და მართლაც რომ ენთუზიაზმით, სიიყვარულით გაეგრძელებინოთ თავიანთი საქმიანობა.

## კოჩბანი

**კოჩბანის** საჯარო სკოლის შენობა ერთსართულიანია, გარედანაც და შიგნიდანაც


თამარ წიკლაური (მენეჯერი), პედაგოგები: ინგა მამუკაშვილი, მარიკა ფიცხელაური

გარემონტებული, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. მიმდინარე სასწავლო წლისათვის ორი საკლასო ოთახი დერეფანთან მიაერთეს და უფრო ნათელი გახდა დერეფანი, ამასთან, იატაკი შეცვალეს. მაგრამ... მშენებელმა 15 სექტემბრისათვის ვერ მოასწრო აღებული სამუშაოს შესრულება და სწორედ ჩვენი სტუმრობის დღეს (29 სექტემბრისათვის) შეძლო იატაკის დაგების მომთავრება. უბრალო მიზეზი არ ყოფილა – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის და ზედამხედველობის სამსახურებმა შესრულებული სამუშაო დაიწუნეს და მშენებელსაც ახლიდან მოუხდა იატაკის დაგება.


მასწავლებელი ინგა მამუკაშვილი

სკოლაში 34 მოსწავლეა ამ სასწავლო წელს. აქედან პირველი კლასის მასწავლებელს ინგა მამუკაშვილს მხოლოდ 1 მოსწავლე ჰყავს პირველკლასელი და ერთი მესამეკლასელი კლას-კომპლექტში.



მეთორმეტე კლასში 3 მოსწავლეა. მეორე-მესამე კლას-კომპლექტის მასწავლებელი მარიკა ფიცხელაური სოფელ ვერონადან დადის კოჩბანის სკოლაში.


ანგელინა ნადირაძე

სკოლის დირექტორი თამარ წიკლაური გარდა კოჩბანელებისა, ყოველ დილას სკოლის ეზოს ჭიშკართან გორანიდან, სასადილოდან, იკვლივგორანადან, ოთარანთკარიდან, ომარაულიდან ელოდება მოსწავლეებს, რომლებსაც ორი ორხიდიანი „ნივა“ ემსახურებათ გადაადგილებისათვის. თუმცა, ომარაული თიანეთის რაიონს ეკუთვნის, სოფელი კოჩბანთან უფრო ახლოსაა და ამიტომ, იქიდან ბავშვები კოჩბანის საჯარო სკოლაში დადიან.

***პედაგოგთა დღეს ვულოცავთ კოჩბანის საჯარო სკოლის პედაგოგებს – მათი კოლექტივის ყველაზე ღვაწლმოსილი პედაგოგის – ანგელინა ნადირაძით დაწყებული, ახალგაზრდა სკოლის მენეჯერით დამთავრებული.***

## გომბორი


დაწყებითი კლასის პედაგოგი მარეხ დიდებაშვილი

**გომბორის** საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის კლასების 38 მოსწავლეს ოთხი პედაგოგი ემსახურება. თამარ ჩოლოგაური – I კლასის, ნორა ციგროშვილი – II კლასის, მარეხ დიდებაშვილი – III კლასის (კათედრის გამგე) და თამარ კიკილაშვილი – IV კლასის მასწავლებლები არიან – მონდომებული, და მერე როგორი...


დაწყებითი კლასების პედაგოგები

როცა მათ მუშაობას გავეცანი, ვიფიქრე და ეს საფიქრალი და სინანული დღესაც მომდევს, რატომ ადრე არ მოვედი, ადრე არ გავეცანი მათ მუშაობას, ან რატომ მათაც არ მოუწიათ სატელევიზიო გადაცემა „იმედის გმირებში“ გამოსვლა. რა ვიცი, იქნებ ჩვენ მაინც დავარქვათ მათ საქმიანობას გმირობა. იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ გასაკვირი აქ არაფერია, ჩვენო ძვირფასო მკითხველო! ოთხივე მასწავლებელი 45 წუთიან გაკვეთილზე ორი ეროვნების,


მეთერთმეტეკლასელები

ორ ენაზე მოსაუბრე მოსწავლესთან მუშაობს. დიახ, აქ ქართველ მოსწავლეებთან ერთად აზერბაიჯანელებიც სწავლობენ. სწავლება სახელმწიფო ენაზე – ქართულზე მიმდინარეობს. დიახ, პირველი კლასის მასწავლებელს – თამარ ჩოლოგაურს 8 მოსწავლიდან 4 ქართველი და 4 აზერბაიჯანელი ჰყავს. ნაირა მასწავლებელს – 2 აზერბაიჯანელი და 5 ქართველი, მარეხ დიდებაშვილს – 4 ქართველი და 4 აზერბაიჯანელი, თამარ კიკილაშვილს – 4 ქართველი და 4 აზერბაიჯანელი. გასულ წელს თამარ ჩოლოგაურმა 9 აზერბაიჯანელს და 2 ქართველს დაამთავრებინა დაწყებითი განათლების საფეხური.

როგორია აქ 45 წუთის განმავლობაში ისაუბრო, ასწავლო, შეაფასო აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებს ქართულ ენაზე საგნები, როცა ზოგიერთის მშობელიც ვერ ფლობს ქართულ ენას. ერთადერთი, სადაც აზერბაიჯანელებს სკოლისათვის ამზადებს, ეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა, სადაც აღსაზრდელები ლექსიკური მარაგის შესავსებად პირველ ნაბიჯებს დგამენ. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. კათედრის ხელმძღვანელმა მარეხ დიდებაშვილმა შეადგინა პროექტი ქართული ენის აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეებისათვის უკეთ და ადვილად შესწავლისათვის. მაგრამ, ეს პროექტი არ დაუმტკიცეს – „ქართული, როგორც მეორე ენა“, რომელიც ახლა საგარეჯოს აზერბაიჯანულენოვანი სექტორის საჯარო სკოლებში წარმატებით ხორციელდება, მაგრამ რა ქნან გომბორის საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების მასწავლებლებმა, როგორ შეაფასოს მარეხი მასწავლებელმა III კლასელი შამილის ნამუშევარი – სად წავიდა ზაფხული? აი, რას წერს შამილი: „ზაფული ღაფიდა ცაბად ფაფხიუდრი იყო“.


მეშვიდეკლასელი მიხეილ მოლჩანოვი

და კიდევ ერთი პრობლემა (თუმცა ამ პრობლემაზე თავად პედაგოგებიც არ საუბრობენ, რაღაცნაირად შეგუებული არიან ყველაფერს და თავიანთი ძალებით უმკლავდებიან შეძლებისდაგვარად) – სოფლებიდან – რუსიანიდან, ვერონიდან გომბორის საჯარო სკოლაში სამარშრუტო ტაქსს უნდა ჩამოჰყავდეს მოსწავლეები, მათთანერთად მასწავლებლებიც არიან. უგზოობის გამო ტაქსი ვერ ადის რუსიანში, რომელიც 7 კილომეტრითაა სკოლიდან დაცილებული. გზამდე ისინი 3 კმ-ს ფეხით გადიან – მინდორზე, სადაც ადვილი შესაძლებელია ზამთარში მგელიც დახვდეთ. მართალია, 14 მოსწავლე და 2 მასწავლებელი რაღაც ძალას წარმოადგენს, მაგრამ... ამ შემთხვევაში ორხიდიანი სამარშრუტო ტაქსი თუ შეძლებს გზის სირთულის დაძლევას.

***მასწავლებლის დღეს გილოცავთ მართლაც ღირსეულად ამ სახელის მატარებელნო.***

# 5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა, გილოცავთ!

## ჩვენი საზღვრისპირა სოფლის პედაგოგები

### უდაბნო


სკოლის პედკოლექტივი

**უდაბნოს** საჯარო სკოლის შენობის ფართო 1500 მ$^2$-ა. აქ 22 საკლასო ოთახ-ია განფენილი. მათგან სწავლის პროცესისათვის მხოლოდ 13 საკლასო ოთახი გამოიყენება. შენობა 1985 წელს აშენდა და მთლიანი განაშენიანების ფართი 2635მ$^2$-ს შეადგენს. კარგად მახსოვს რა დაჩქარებული ტემპით ხდებოდა მისი მშენებლობა – მას ხომ დიდი, მასშტაბური მნიშვნელობა ენიჭებოდა – აქ ეკომიგრანტებთან ერთად ძირძველი უდაბნოელების შვილებს უნდა ესწავლათ. აქ სადღეღამისო სამშენებლო სამუშაოები მიდინარეობდა და მართლაც კაპიტალური, ლამაზი შენობა იმდენ მოსწავლეს იღებდა და უშვებდა, ბევრ დიდ, მრავალრიცხოვანი კომლებით დასახლებულ სოფელს შეშურდებოდა. დრონი იცვალნენ, ნელ-ნელა დასჭირდა ხელის შეშველება სკოლას. მხოლოდ გასულ, 2013 წელს მიექცა ყურადღება სკოლის შენობას – მთლიანად შეიცვალა შენობის სახურავი, გამოიცვალა კარ-ფანჯარა და ყველა კმაყოფილია და გულდამშვიდებული – აღარ აწვიმს სკოლის საკლასო ოთახებს. თვითნებურად აღარ დასისინებს ქარი საკლასო ოთახებსა და დერეფნებში, ოღონდ... კვლავ კომუნისტების დროის რემონტი აქვს აქ ყველაფერს შემორჩენილი და მერე როგორი რუდუნებით შემორჩენილი... ყველაფერი ეს კი იმ 23 პედაგოგის დამსახურებაა, რომლებიც აქ სოფლისთვის თავსმოჯარულ პრობლემებსაც ვაჟკაცურად უმკლავდებიან, დიდსულოვნებით ხვდებიან უდაბნოს მკაცრ კლიმატურ პირობებსაც და დიდი გულმოდგინებით და ულალატობით დგანან პედაგოგის კათედრასთან. აქ ათეული წლებია პედაგოგის საპატიო პროფესიას ემსახურებიან: ნათელა ჩინჩალაძე, ნარგიზა სამსიანი, ნაირა მურჯიკნელი, ეთერ ანანიაშვილი, დალი ჭიკაძე, გაიოზ ჩართოლანი, ვანო ჯანაშვილი... პედაგოგებს მზია მურჯიკნელს (გეოგრაფიის პედაგოგი) ნათელა ჩახმახაშვილს (ისტორია), სოფიო გიბიშვილს (დაწყებითები) კი ეს სკოლა აქვთ დამთავრებული და პედაგოგის დიპლომით პირდაპირ ამ სკოლას მოაშურეს... ისინი აქ 119 მოსწავლის სწავლა-აღზრდის მართლაც რომ დასაფასებელ საქმეს ეწევიან. 119 მოსწავლიდან 15 მეთორმეტეკლასელია, 7– პირველკლასელი.


მენეჯერი ნინო არევაძე

სკოლას სათავეში ახალგაზრდა ფიზიკოსი ყიფიანების რძალი ნინო არევაძე უდგას. ნინო მეცხრე სასწავლო წელია აქ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, აქედან 2 მის დირექტორობას ითვლის (როგორც კულუარებიდან შევიტყვეთ, ნინოს „დირექტორობის“ გამოცდები ბრწყინვალედ ჩაუბარებია ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის დირექტორებთან ერთად).

***პროფესიულ დღესასწაულს ვულოცავთ უდაბნოელ პედაგოგებს, გამძლეობას, ამტანობას ვუსურვებთ მათ. კვლავაც ვაჟკაცური შემართებით აეტანოთ ყველაფერი და ვისურვებდით ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან და ქვეყნის განათლების სამინისტროს წარმომადგენლებიდან ჰქონოდეთ მეტი ყურადღება და მცდელობა იმ ტვირთის შემსუბუქებისა, რაც მათ ოჯახებსა და მოსწავლეთა მშობლებს აქვთ მკაცრი კლიმატური პირობებისათვის გამკლავების საქმეში.***


პირველკლასელები და პედაგოგი ნაირა მურჯიკნელი


პედაგოგი ნათელა ჩინჩალაძე

### ისინი შვიდნი არიან

**მართლაც**, ისინი შვიდნი არიან: მარი მურჯიკნელი, გიორგი ფირცხელანი, ნიკა ნანსყანი, ზურა გურჩიანი, ლუკა მურღულიანი, ჯაბა გვარამაძე, ლევან გულბანი. ისინი უდაბნოს საჯარო სკოლის პირველკლასელები არიან. წელს პირველად შეაღეს სკოლის კარი და ამდენად, ცოტა მორცხვობენ, მაგრამ პედაგოგ ნაირა მურჯიკნელის თითოეულ სიტყვას გულისყურით უსმენენ, უჯერებენ, ასრულებენ მის მითითებებს, დავალებას. მშვიდი, ალალი მზერით მისჩერებიან მასწავლებელს და ისეთი გულახდილები არიან, როგორც მათ, სვანეთისა და მესხეთის მთებიდან ჩამოსახლებულთ შეჰფერით – ულალატოებს, მშრომელებს, სამშობლოსა და სიმართლის მოყვარულთ. მალე ქართული ანბანის შესწავლას დაიწყებენ. ჯერ ლექსიკურ მარაგს ივსებენ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში შესწავლილი მასალა ეხმარებათ ადვილად ათვისებაში, ყურადღების მობილიზებაში, სწავლის პროცესში აქტიურად ჩაბმაში. თუმცა, ნაირა მასწავლებლის 42 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა მათ ყველა სირთულეს დაამარცხებინებს. ის ხომ 35 წელიწადია აქ, უდაბნოშია და მისი ოჯახიც უდაბნოელთა ცხოვრებით ცხოვრობს.

დამშვიდობებისას ლევან გულბანმა გულიანად გაგვაცინა, კინოფილმიდან „მაიტა ნასოსი“ ბრწყინვალედ შეასრულა ეპიზოდური როლი – სვანური თავდაჯერებულობითა და მიმიკით. ბავშვებმა სასწავლო წლის ბოლოს ანბანის შესწავლასთან დაკავშირებულ ზეიმზე სულითა და გულით მიგვიწვიეს.

მომავლის ლამაზი დღეების ბეჯით სწავლაში გატარება ვუსურვეთ ჩვენც საზღვრისპირა სოფლის თვალხატულა ერთ გოგონასა და მის ექვს თანატოლ ვაჟს, მთის სკოლის ყველა მოსწავლეს.


ლევან გულბანი

### სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში


ქეთევან ჩოკოშვილი, ნელი კორძაია (მენეჯერი), ქეთევან მაისურაძე

**ამ** ორსართულიან, უზარმაზარ შენობაში, რომლის სასარგებლო ფართი 687,6 მ$^2$-ია, უდაბნოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (მენეჯერი ნელი კორძაია) 36 აღსაზრდელი მათთვის საინტერესო სასწავლო-სააღმზრდელო სწავლებას გადის. ბაგის ასაკის 2-3 წლიანებში დღეისათვის 14 აღსაზრდელია (აღმზრდელი ქეთევან მაისურაძე, თანაშემწე მაია ალადაშვილი), ხოლო 4-5 წლიანებში (აღმზრდელი ქეთევან ჩოკოშვილი, თანაშემწე ნათია გვარამაძე) – 22 აღსაზრდელი. შენობა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში შევიდა ექსპლოატაციაში, მთლიანად დატვირთული იყო – აქ უდაბნოელთა არაერთი თაობა გაიზარდა, მაგრამ ბოლო პერიოდში II სართული გამოუყენებელი გახდა – აქაც თავი იჩინა დემოგრაფიულმა პრობლემამ. ახლა აქ მხოლოდ ორი ჯგუფია, სადაც ულამაზესი და უჭკვიანესი გოგო-ბიჭები ხალისიანად მოდიან. აქვე, მათ თვალწინ, ორსართულიანი შენობის წინ შენდება შენობა, რომელშიც მალე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება დაიდებს ბინას. შენობა რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხებით შენდება და როგორც დაწესებულების მენეჯერმა ქალბატონმა ნელიმ გვითხრა, ყველა თანამედროვე სიკეთით იქნება აღჭურვილი.


აღმზრდელის თანაშემწე მაია ალადაშვილი აღსაზრდელებთან


აღმზრდელის თანაშემწე ნათია გვარამაძე აღსაზრდელებთან

– დღეს დაწესებულების აღმზრდელები ეზოში მოწყობილი საპირფარეშოთი სარგებლობენ. შენობაში არ არის სველი წერტილები, მაგრამ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორმა ელზა გილაშვილმა ძალიან ბევრი რამ გაგვიკეთა, რისთვისაც მადლობა გვინდა ვუთხრათ ჩვენი აღსაზრდელების მშობლების სახელითაცო, – განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა ქ-ნმა ნელიმ, ჩვენთვის – სამზარეულოში ცხელი წყალი ალბათ დიდი ხნის ოცნება იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ამ სიკეთით ვსარგებლობთო.

დაწესებულებაში ჩვეული რიტმით მიმდინარეობს სკოლამდელებთან მუშაობა. აქ აღმზრდელი ქეთევან ჩოკოშვილი მოახლოებული შემოდგომის ზეიმის ჩასატარებლად ამზადებს ბავშვებს, ისინიც დიდი ხალისით ერთვებიან ამ საქმიანობაში. გაზაფხულის ზეიმის ჩატარება კი ალბათ ახალ შენობაში მოუწევთ.

***ვულოცავთ მასწავლებლის პროფესიულ დღეს მათ მენეჯერს, მუდამ თითოეულ მათგანზე მზრუნველ ნელი კორძაიას, მათ აღმზრდელებს და აღმზრდელის თანაშემწეებს, რომლებიც არანაკლებ ენერგიას ხარჯავენ მათ მოვლაზე.***

# 5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა, გილოცავთ!

## უკვე დაკეცილია 31 წელი



**ამ** ქვეყნად თუ ვინმეს შეუძლია იამაყოს იმით, რომ რაიმე წვლილი შეუტანია ჩვენი მომავალი თაობების სწავლა-აღზრდისა და სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, ერთ-ერთი მათგანი საგარეჯოს I საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი **ნაირა ბურბენიშვილია**. ყანდაურაში დაბადებულმა თბილისის ა.ს. პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და მას შემდეგ აგერ უკვე 32 წელია ერთგულად ემსახურება საგარეჯოელი ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეს. ვინ მოთვლის, ამ 31 წლის მანძილზე რამდენ ნორჩ საგარეჯოელს ჩაუნერგა და გაუღვიძა გულში სწავლის, დედა ენის, სამშობლოს სიყვარული, მამულიშვილობისა თუ ნაღდი ქართველობის გრძნობა, აზიარა მაღალ ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს მისი ბევრი ნამოწაფარი წარმატებითაა ჩაბმული საქვეყნო საქმეში და თავის სიტყვას ამბობს ქვეყნის წინსვლის საქმეში.

გასახსენებელი და დასამახსოვრებელი ბევრი რამ აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობიდან პატარებზე მზრუნველსა და მოჭირნახულეს. კარგად ახსოვს თავისი პირველი გაკვეთილი საგარეჯოს IV საჯარო სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეებთან, ის განცდები, ემოციები და სიამაყის გრძნობა, რომელიც ამ გაკვეთილის ჩატარების შემდგომ განიცადა. როგორც ახლა იხსენებს, მისი ჩატარება სულაც არ ყოფილა მისთვის ძნელი და პრობლემური, ოჯახში უფროს შვილს ხშირად უწევდა უმცროს დედმამიშვილებზე ზრუნვა, მათი მოვლა-პატრონობა, გაკვეთილების მომზადება, ახსოვდა თავისი პირველი მასწავლებლის ნათელა სირაძის აღსაზრდელების მიმართ გამოჩენილი სითბო, სიყვარული და მზრუნველობა, მისი მიბაძვა თავისი პედაგოგიური საქმიანობის ქვაკუთხედად აქცია და დღესაც მასწავლებლის უპირველეს სამოქმედო პრინციპად მიაჩნია.

– მასწავლებლის პროფესიაში უპირველესი აღსაზრდელების მიმართ სითბოს, სიყვარულის გამოხატვაა. საერთოდ, პატარები მეტად მგრძნობიარეები არიან და როცა თავის თავზე სცდიან ამას, მთელი არსებითა და გულისყურით ენდობიან თავის აღსაზრდელებს,– ასე მიაჩნია ნაირა მასწავლებელს და თუ რაიმეს უმადლის თავის საქმიანობაში, ერთ-ერთი მთავარი სწორედ მისი ღვთივბოძებული ეს თვისებებია.

***– საგარეჯოს IV საშუალო სკოლა, როცა თქვენ იქ მუშაობა დაგიწყიათ, ერთ-ერთი მოწინავე საგანმანათლებლო კერა იყო არა მარტო საგარეჯოს რაიონში, არამედ მისი სახელი იხსენიებოდა საქართველოს წარმატებული სკოლების ნუსხაში. რამდენ ხანს მოგიწიათ იქ მუშაობამ და რითი იყო აღსანიშნავი თქვენთვის იქ გატარებული წლები?***

– საგარეჯოს IV საშუალო სკოლაში დღის გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებლად სულ 2 წელიწადი ვიმუშავე. მაშინ ამ სკოლის სახელი ცნობილი იყო, სადაც გამოცდილების გასაზიარებლად ხშირად მოდიოდნენ სხვადასხვა სკოლებიდან, ტარდებოდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებები, არცთუ იშვიათად – შემოწმებებიც. ერთ-ერთი ასეთი შემოწმება რესპუბლიკის მასშტაბით და მათ შორის ჩვენს სკოლაშიც ჩაგვიტარეს გახანგრძლივებული სწავლების მასწავლებლებს. ამ შემოწმება-დათვალიერების შედეგებით ჩვენმა სკოლამ რესპუბლიკის მასშტაბით მეორე ადგილი დაიკავა (პირველი ადგილი არავისთვის მიუკუთვნებიათ), რაშიც, რა თქმა უნდა, ალბათ ჩემი დიდი დამსახურებაც იყო.

***– ამ სკოლაში ორწლიანი მუშაობის შემდეგ სად გააგრძელეთ პედაგოგიური მოღვაწეობა?***

– ქალაქის IV საშუალო სკოლაში მეორე სასწავლო წლის დასასრულისათვის საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში გამოჩნდა დაწყებითი კლასების პედაგოგის ადგილი და აქ გადმოვედი სამუშაოდ, რის შემდეგაც აგერ უკვე 31 წელია უცვლელად ვემსახურები ამ საქმეს.

***– რამ განაპირობა ამ პრესტიჟული სკოლიდან თქვენი ქალაქის პირველ სკოლაში გადასვლა?***

– ეს უპირველესად ოჯახური პირობებით და მასთან სიახლოვის მოტივებით იყო ნაკარნახევი. მართალია. მაშინ ქალაქის ცენტრიდან IV სკოლის გავლით დანიშნული იყო ავტობუსების რეგულარული მიმოსვლა (თანაც მიზერული გადასახადით), მაგრამ პირველი საშუალო სკოლა უფრო ახლოს იყო ჩემს ოჯახთან და სახელითა და პრესტიჟით არც ის ჩამოუვარდებოდა რაიმეში IV სკოლას. სხვა მასწავლებლებთან ერთად ასე მივაღწიე დღევანდლობამდე უშუქობის, უწყლობის, გაჭირვებისა და უბედურების წლებიდან, როცა ადამიანებს დღისითაც კი ეშინოდათ გარეთ გასვლისა.

***– კი, ძალზე მძიმე პერიოდის გადატანა მოუწიათ პედაგოგებს მთელ ქართველ ხალხთან ერთად, თუმცა არასოდეს შეშინებიათ სიძნელეების და ამ პირობებშიც მუდამ ერთგულად ემსახურებოდნენ ქვეყნის მომავალი თაობების აღზრდის საქმეს. თქვენ, როგორც გამოცდილი პედაგოგი, როგორ შეადარებდით ადრინდელი, ე.წ. საბჭოური პერიოდისა და დღევანდელი სწავლების დონეს?***

– ამაზე საუბარი ალბათ შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ჩემს სათქმელს მოკლედ მოვჭრი, ძველსა და ახალ სწავლებას შორის ძალზე დიდი განსხვავებაა და სიახლეებია, სწავლაში შემოვიდა ახალი ინოვაციური მეთოდები და მიდგომები, ახალი სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები, აუდიო და ვიდეო მოწყობილობები, რაც ამ საქმეში დასაქმებულ პედაგოგთაგან დიდ გულისხმიერებას, ცოდნასა და პროფესიული უნარების ყოველდღიურ ამაღლებას მოითხოვს.

***– თქვენი, როგორც პედაგოგის სახელი, მუდამ მოიხსენიება მუნიციპალიტეტის წარმატებულ მასწავლებელთა შორის, არა მარტო საგანმანათლებლო დარგის მესვეურთა, არამედ თქვენი აღზრდილების მშობლებისგანაც – სადღეისაოდ რამდენი ბავშვის სწავლა-განათლების საქმეს ემსახურებით?***

– ახალი სასწავლო წელი პირველკლასელთა ახალი ნაკადით დავიწყე. კლასში სულ 23 მოსწავლეა, რომელთაც ინდივიდუალური სამეცადინო მერხებიდან მოყოლებული, ყველა პირობა აქვთ ნორმალური სწავლა-განათლებისა და ამ გზაზე პირველი ნაბიჯების გადასადგმელად. მჯერა, რომ როგორც ადრე, მათთან ჩემი შრომა კვლავაც სასურველ შედეგს გამოიღებს და ბევრ მათგანს გაჰყვება ცხოვრების საგზურად.



***– ქნო ნაირა, რამდენადაც ცნობილია, თქვენი მეუღლე ნუგზარ ლეგაშვილი ადრე დოსააფის რაიონულ ორგანიზაციაში მძღოლთა მომზადების საქმით იყო დაკავებული და ბევრ საგარეჯოელს გაუწია დახმარება ამ პროფესიის დაუფლებაში. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ოჯახი პედაგოგიური ოჯახია. თქვენი შვილებიდან ვინმე ხომ არ მოინდომა მშობლების კვალის გაყოლა?***

– კი, როგორ არა, ჩემი შვილი შორენა ლეგაშვილი ჩვენი, საგარეჯოს I საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელია, რაც შეეხება შვილიშვილებს, საამისოდ ისინი ჯერ პატარები არიან.

***– გისურვებთ მომავალ წარმატებებს და მასწავლებლის პროფესიულ დღეს გილოცავთ თქვენც და თქვენს იმ უამრავ კოლეგა-პედაგოგს, რომლებიც ასე ერთგულად ემსახურებით ჩვენი ხვალინდელი დღის შენების საშვილიშვილო საქმეს. კიდევ მრავალი ასეთი წარმატებული წელი „დაგვეკეცოთ“ ჩვენი პატარების გვერდით.***

*გ. დაბახიშვილი*

---

### აზრი, წინადადება, მოსაზრება

## ადგილის დედის საწუხარი

**ძვირფასო მკითხველო!**

**ეს ორი წერილი ერთ დღეს დაიწერა – ავტორთაგან დამოუკიდებლად, უბრალოდ, როცა ორივე წერილის ავტორმა ერთმანეთის ნააზრევი წაიკითხა, აღმოჩნდა, რომ ამ საკითხზე სხვების აზრიც უნდა მოისმინონ, რომელსაც საბოლოოდ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც ალბათ გაითვალისწინებს.**

**მაშ, ასე, გიწვევთ გაზეთის ფურცლებიდან თქვენი მოსაზრებების გამოსათქმელად.**



ამ ადგილზე ჯერ მეიფარიანები ცხოვრობდნენ, შემდეგ, გასული საუკუნის 60-იან წლებში „აყარეს“ და ბანკის შენობა დადგეს. უამრავი ხალხი შედიოდა რაღაც საბუთებით, შემდეგ ფულით სავსე ჩანთებით გადიოდნენ. ხო, კარგად მახსოვს, სანამ ფულს გაიტანდნენ, ტყვიაგაუმტარი მანქანა მოადგებოდა, შეიარაღებული დაცვა ამ ფულს შენობის „სარდაფში“ გაკეთებულ საომარი ბუნკერივით დაცულ, დახშულ სივრცეში შეიტანდა და ჩაკეტავდა. აქედან ნელ-ნელა ამოდიოდა ფული და გადიოდა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ომში ქმარდაკარგული, მზისგან სახედამწვარი და ნაჯაფი ქალების, შრომაში გამოწრთობილი კაცების ჯიბეებში. სიმართლე ვთქვათ, მათზე ალალი იყო ის ფული. ალალი იყო მეცხოველეობის, მეფრინველეობის კომპლექსებსა და ფაბრიკებში მომუშავეთათვის, ქარხნებში ცვლებში მომუშავე დღეჩამოღამებულ და ღამედათენებულ, ხარაჩოზე მდგარი თუ „ლაფატკით“ სილისა და ცემენტის ამრევ მუშებზე. მაგრამ, ამ შენობას კარგად ახსოვდა ათასობით, ერთად „გამოკრული“ კუპიურები – პირდაპირ კორუმპირებულთა ჯიბეში, უფრო სწორად – ფულის შესანახ ტომრებში ჩადინება და იქიდან ღმერთმა უწყის – საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნების რესტორნებში დროისმატარებელთა ჯიბიდან გადინება...

დრონი იცვალნენ და ბანკმა გასული საუკუნის 80-იან წლებში აქედან სხვაგან გადაინაცვლა, მაგრამ ფულის, „ხელის ჭუჭყის“ მძიმე და აუტანელი ენერგია გულზე დამაწვა, შავ ღრუბლად ჩამოწვა...

შემდეგ კარგად მახსოვს – პროკურატურამ დაიდო აქ ბინა. საშინელება იყო. რა შავ-ბნელი საქმეები არ ირჩეოდა აქ?! ბევრ უდანაშაულო ადამიანს აუვლია შენობის შვიდიოდე კიბე, იქიდან მილიციაში მიუბრძანებიათ და დარდად და სევდად ჩამყოლია მათი მხრებში მოხრილი სილუეტი, დაფეთებული, ნაღვლიანი მზერა. ბევრ მგელივით კისერგაშეშებულსაც აუვლია კიბეები – არაადამიანობით, ვერაგობით, დაუნდობლობით, ბოროტი მზერით მომზირალს.

შემდეგ პროკურატურის ერთი ნაწილი „მხედრიონმა“ დაიკავა. ვინ აღარ მინახავს აქ მოსული თუ მოყვანილი. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხან სამართლიანი იყო, ხან უსამართლო. ისე, ეხლაც შიშის ზარს მცემს 1995 წლის ნოემბერი, ამ შენობას შეაცივდა საგარეჯოელების რამაზისა და მისი მეგობრის „შაშუნიას“ უკანასკნელი ამოსუნთქვა, ამ ადგილას ახლაც ატყვია მათი სისხლი – სიცოცხლეზე შეყვარებული ორი ახალგაზრდიდან დაღვრილი, 24 წლის ბიჭების მარადისობაში გადასვლის მტკივნეული წამება...

შემდეგ ეს დაწყევლილი შენობა საგარეჯოელებმა შეისყიდეს, მაგრამ რაღაცნაირად ვერ „შეეთვისნენ“ და „ნაციონალური მოძრაობის პარტიას“ ოფისად მოუცვალეს სხვა ადგილში, სხვა შენობაში. დიდხანს ვერც ისინი გაჩერდნენ და ერთიანად დაანგრიეს შენობა 2012 წლის გაზაფხულზე. იცით, როგორ მიხაროდა?! მაგრამ, გავიდა წლები და ნაგვის ბუნკერად მიქციეს აქაურობა. ამაზე მეტი დაცინვა რაღა შეიძლება ყოფილიყო? ქალაქის შუა ცენტრში მესერით შემოღობეს, შიგნით კი რა ხდებოდა?! ნუღარ მკითხავთ, ერთხანს ითქვა, აქ ეკლესია ავაშენოთ იმ ბიჭების სახელზეო, მაგრამ ეკლესიის აშენება ეტყობა თავად უფალმა არ ინება ცოდვით გაჯერებულ ადგილას.

გავიდა დრო და როგორც იქნა, ამოვისუნთქე. ერთ დღესაც, სექტემბრის ერთ ლამაზ დღეს მოაყენეს ტექნიკა, ჯერ მესერისაგან გამათავისუფლეს, შემდეგ უამრავი პლასტმასის ბოთლისა და ნაგვისაგან, გადაასწორეს, გადმოასწორეს და დამტოვეს ასე. ძალიან კარგი, ყველა მხედავს და შებღალვას და შებილწვას ველარავინ ბედავს, მაგრამ როდემდე შეიძლება ასე ვიყო?!

თქვე დალოცვილებო, რამ გაგიციათ ასე გული, რით ვერ მოიფიქრეთ, რის გაკეთება შეიძლება აქ? 300 წელია პეტრე-პავლეს ეკლესია დამყურებს თავზე, 300 წელია ჩემს გულზე დააბიჯებთ საგარეჯოელები, 50 წელია ქალაქის ცენტრად ვიწოდები. განა დიდი ვარ, სულ 600 მ$^2$ ვარ. დიახ, 15X40-ზე და ნუთუ ვერ მოგიფიქრებიათ ამ ადგილის გასაწმენდად ქვის მონუმენტური ჯვარი აღმართოთ, ზედ საგარეჯოს დამსახლებელი, პეტრე-პავლეს ეკლესიის აღმაშენებელი ონოფრე მაჭუტაძეც (ხატიც ხომ არის) გამოვკვეთოთ, დავით გარეჯელიც,

დასასრული მე-7 გვ.

## აზრი, წინადადება, მოსაზრება

# ადგილის დედის საწუხარი

<u>დასასრული</u>

იოანე ნათლისმცემელი და დოდო გარეჯელი. ნუთუ დაგავიწყდათ დოდო გარეჯელის რქას „დოდოს უბნის“, „კუჭუაანთ უბნის“ მცხოვრებნი თავიანთი შემოსავლიდან გარკვეულ წილს სწირავდნენ, იოანე ნათლისმცემლის მონასტერს ზემო უბნის, სწორედ ამ ქუჩების (ერეკლე II-ისა და დავით აღმაშენებლის), დავითის ლავრას – ესაიაანთ, ხებრელაანთ, ივანელაანთ უბნების მცხოვრებნი. იქნებ იმ ჯვარმა გაგახსენოთ, რომ მართალია თქვენი წინაპრები, თქვენი საგვარეულო სამასი წლის წინ ჩამოსახლდნენ ამ მიწა-წყალზე, მაგრამ რით ვეღარ „შეეგუეთ“, ვერ გამთლიანდით ეს საგარეჯოელები, გათითოკაცებულები დადგებით ცენტრში და მხოლოდ სხვისი გაკეთებული საქმის „წუნმდებლობთ“, თავად კი რას აკეთებთ?

რაღას უყურებთ? გამთლიანდით, ზოგმა ხელმძღვანელობას მოჰკითხეთ აქ გასაკეთებელი, ზოგმა ჯიბეზე გაიკარით ხელი, ზოგმა დაიკაპიწეთ ხელები, შრომითი მონაწილეობით რაღაც გააკეთეთ, ოღონდ ძალიან გთხოვთ, აქ სუპერმარკეტსა და კაფეს ნუ დამადგამთ გულზე, ისევ ჭუჭყიან ფულს ნუ მისცემთ აქ ტრიალის უფლებას. პატარების ფეხისგულები მენატრება, აქ კარუსელები დაუდგით მათ და იმ ჯვრის საშუალებით მართლმადიდებლობა გაახსენეთ, ასწავლეთ ვინ დააფუძნა საგარეჯო, ვის სახელს ატარებს ქალაქი, ვისთან და რასთან არის ის ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი. შენ რას იტყვი ჩემი ტკივილების წამკითხველო?!

*<u>საგარეჯოს ცენტრში მდებარე</u>*
*<u>600ჭ ქართული მიწა</u>*

## გმირების უკვდავსაყოფად

**ყველა** საგარეჯოელს კარგად ახსოვს ჩვენი 50 წლოვანი ქალაქის ცენტრში მდებარე საბჭოთა პერიოდის ბანკისა და გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლო ხანებში ნაციონალური მოძრაობის საგარეჯოს ორგანიზაციის შტაბბინად ქცეული შენობის დანგრევა. არ ვიცი, რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ მუნიციპალიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელები, როცა ამ შენობას ანგრევდნენ, მაგრამ პირადად მე ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ, იმ ფონზე, როცა საქართველოში საკმარისზე მეტია აფხაზეთიდან თუ სამაჩაბლოდან უსახლკარო ლტოლვილი, დანგრევის ნაცვლად შეიძლებოდა ამ შენობაზე ახალი სართულის დაშენება და იქ ამ ოჯახების დასახლება. ეგეც არ იყოს, ჩვენს პატარა საგარეჯოელებს არ ჰქონდათ და ჯერაც არ აქვთ ჭადრაკის სახლი და სხვა უამრავი სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლებოდა აქ. თუმცა, დანგრეულს და დაქცეულს ახლა რაღა ეშველება, მაგრამ, ამ შემთხვევაში მე ხელში კალამი არა ამის განსასჯელად ამიღია, დაინგრა თუ არა ეს შენობა, საზოგადოებაში გამოჟონა მოსაზრებამ, რომ მუნიციპალიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა ამ ადგილზე ახალი ეკლესიის აშენებას აპირებდა. ვრცელდებოდა სხვა მოსაზრებაც – აქ ქალაქის მოსახლეობის დასასვენებელი პარკის მოწყობის შესახებ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით, ალბათ უფრო ფინანსური პრობლემების გამო, ვერცერთი ეს მოსაზრება ვერ განხორციელდა. ამ ადგილის მოსავლელად სხვა გზა რომ ვერ გამოინახა მუნიციპალიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ „ავი თვალის ასარიდებლად“ ამ ადგილს თუნუქის მაღალი ღობე შემოავლო, რის შემდეგაც აღნიშნული ტერიტორია ათასგვარი სიბინძურისა და ნაგავსაყრელად იქცა. ადვილი წარმოსადგენია, თუ წლევანდელი პაპანაქება ზაფხულის პირობებში რა სიამოვნებას ვიგრძნობდით ამ ადგილის სიახლოვეს მცხოვრები მრავალბინიანი შენობების მცხოვრებნი, აქვე მდებარე სამედიცინო, სავაჭრო თუ სხვა დაწესებულებების თანამშრომლები, მათთან მომსვლელ-წამსვლელი ხალხი, უბრალოდ აქ გამვლელი მოსახლეობა.

ქალაქის შუაგულში ანტისანიტარიის ამ კერის ყურება და ტკბობა ალბათ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა, რომ არა მუნიციპალიტეტის ახლანდელი გამგებლის გიორგი გზირიშვილის მოწადინება და ძალისხმევა, რის შედეგადაც ეს ადგილი გაიწმინდა, გასუფთავდა ათასგვარი ნარჩენებისაგან და მოსწორდა. ისე, რომ, ანტისანიტარიის კერა ამიერიდან ვეღარ შეგვაწუხებს აქ მობინადრეებს თუ სხვა მოქალაქეებს. ამით მუნიციპალიტეტის ახლანდელმა გამგებელმა ნამდვილად კარგი საქმე გაგვიკეთა საგარეჯოელებს, რისთვისაც ჩვენი მხრიდან იგი დიდ მადლობას იმსახურებს. როგორც ამ ადგილის ძირეულ მკვიდრსა და მეზობელს, ცოტა გული დამწყვიტა ადგილის გასუფთავების დროს ხის ამოძირკვამ, რადგან ადრე ამ ეზოში რამდენიმე ხე ჩემი ხელითაც მქონდა დარგული და ერთი კაკლის ხე ჩემი პატარაობის მოსაგონებლად ახლაც დგას იქ.

რაც შეეხება ამ ადგილის მომავალი ბედის შესახებ ჩემს მოსაზრებას, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, რომ აქ მოეწყოს ***საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპული ვაჟკაცებისა და ჩვენი ქალაქის ფუძემდებლის ონოფრე მაჭუტაძის მემორიალი, მათი ხსოვნის პატივსაცემად და უკვდავსაყოფად დაირგას უამრავი ვარდები, მათი მარადიული ხსოვნისა და უკვდავების სიმბოლო.***

*ომარ კავთუაშვილი*
***საგარეჯო***

**მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები**

# გარეჯელებმა ჭადრაკშიც ისახელეს თავი!

**გარეჯელ** მოჭიდავეთა წარმატებები, გამარჯვებები მსოფლიოს მასშტაბით საყოველთაოდ ცნობილია და არავისთვის გასაკვირი არ არის, მაგრამ მუნიციპალიტეტისთვის ერთობ „არატრადიციულ“ სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიც არის ჭადრაკი – მიღწევები სასიამოვნო, სასიხარულო სიახლეა!

გარეჯელი მოჭადრაკეების მიღწევებზე, მომავლის პერსპექტივებზე გვესაუბრება ***ა.ი.პ. „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ დირექტორი*** **გია მაისურაძე.**

***– ბოლო წლებია საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკეები წარმატებით გამოდიან მსოფლიო, საერთაშორისო თუ ეროვნულ ჩემპიონატებში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ. რით არის განპირობებული მათი მიღწევები და კონკრეტულად გვითხარით მიღწეული შედეგების შესახებ?***

– საგარეჯო მდიდარია საჭადრაკო ტრადიციებით, აქ ყოველთვის ყურადღება ექცეოდა ჭადრაკს. საგარეჯოელი მოჭადრაკეები აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში. აქაურ საჭადრაკო ცხოვრებაში სტიმულის მიმცემნი იყვნენ საქართველოს ჩემპიონატების ფინალის მონაწილენი, ძლიერი ოსტატობის კანდიდატები იოსიფ ვაისმანი, დავით ექვთიმიშვილი, აგრეთვე ოსტატობის კანდიდატები ირაკლი ქვლივიძე, თენგიზ კობიაშვილი, გიორგი სამუნაშვილი, ვანიკო მჭედლიშვილი, ტელმან და აკაკი შიოშვილები, ჯიმშერ გულისაშვილი, ალექსი კუთხაშვილი, გივი მაისაშვილი, ანზორ ორკოშნელი, უშანგი ჩაფიძე, გრიგორი საჟენიუკი, მიხეილ ქვლივიძე, ვალერი ბარიხაშვილი, ზურა ბაზერაშვილი, მალხაზ ქვლივიძე და სხვები. საქართველოს გოგონათა სხვადასხვა ასაკობრივ პირველობებში გამარჯვებულები და პრიზიორები იყვნენ, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების შემადგენლობაში წარმატებით მონაწილეობდნენ გარეჯელი გოგონები ***ეკა ტაბატაძე*** და ***ელენე ფარეშიშვილი,*** რომლებმაც შემდგომში წარმატებებს მიაღწიეს როგორც მწვრთნელმა–პედაგოგებმა. ჩვენც გვყავს საჭადრაკო ფალავანი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი, სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, საერთშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში ***დავით გურგენიძე***, რომლის ცხოვრება და შემოქმედებითი გზა სათავეს იღებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაილურში და საგარეჯოში. 1996 წელს ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში ფიდე–ს 39-ე კონგრესის მონაწილეებმა დავით გურგენიძე მსოფლიოს უძლიერეს ეტიუდისტად დაასახელეს. მსგავსი მიღწევები, აღიარება არასოდეს ჰქონია სხვა ქართველ საჭადრაკო შემოქმედს. საგარეჯოელები ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკის ***ნანი უნაფქოშვილის*** სახელით. შთამბეჭდავია მისი წარმატებები, თავად განსაჯეთ: 2005 წელს საქართველოს პირველობაზე 10 – წლიან გოგონებში – I ადგილი, 2010 წელს 16 და 20 – წლიან გოგონებში I ადგილი, 2012 – 2013 წლებში 18 – წლიანებში I ადგილი, 2012 წელს 20 – წლიანებში I ადგილი და ბოლოს 2014 წლის ივლისში 20 წლის გოგონებში მესამედ მოიპოვა ოქროს მედალი და მიმდინარე წლის ოქტომბერში ინდოეთში დაგეგმილ 20 –წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. გვყავს საქართველოს მეორე ჩემპიონიც – ***ლევან დალბაშვილი,*** საქართველოს ჩემპიონი 8 წლის ასაკის ბიჭებში. ***ნიკა კევლიშვილი*** წარმატებით გამოდის 8 და 10 წლის ბიჭების, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო პირველობებზე, იგი საქართველოს ჩემპიონატის (10წლ. ბიჭები) ვერცხლის პრიზიორია. ლევანი და ნიკა 2013 წელს წარმატებით გამოვიდნენ მონტენეგროში გამართულ ევროპის პირველობაზე. გვყავს აგრეთვე, საქართველოს ჩემპიონატების (7,8,10,12 წლის გოგონები, ბიჭები). სხვადასხვა მემორიალების, სახელობითი ტურნირების, რეგიონის ჩემპიონები, პრიზიორები ***ლალი გარსიაშვილი, ეთუნა ხებრელაშვილი, ლუკა გურჯიძე, ეკა ჭყონია, გიგი ივანელაშვილი, გიორგი იმნაძე, ზუკა გამრეკელაშვილი, თამაზი გილაშვილი, გიორგი ნინოშვილი, თამარი არჩუაძე, ნინო მელაშვილი, ნინო გოდერძიშვილი, თინათინ დალბაშვილი*** და სხვები. ერთი სიტყვით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ჭადრაკიც უკვე სპორტის ისეთივე პოპულარული სახეობაა, როგორც ჭიდაობა – აღმავლობის გზაზეა და წარმატებით ვითარდება!

***– როგორია საჭადრაკო ინფრასტრუქტურა, ისახება თუ არა მომავალში მისი გაუმჯობესების გზები? როგორია მწრთვნელთა შემადგენლობა, მათი კვალიფიკაცია?***

– პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ გარეჯელი ნორჩი მოჭადრაკეები ღირსეულ მეტოქეობას უწევენ და ხშირ შემთხვევაში ჯობნიან კიდეც, ისეთი აღიარებული საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელებს, როგორიც არის ქუთაისი, ბათუმი, თბილისი, ზუგდიდი, ფოთი, ზესტაფონი, ვანი, სამტრედია, რუსთავი, თელავი, რომელთაც კეთილმოწყობილი საჭადრაკო კლუბები და ინფრასტრუქტურა გააჩნიათ. 1983 წლის 31 მაისამდე საგარეჯოში არსებობდა საჭადრაკო კლუბი, რომლის დირექტორი იყო სახელგანთქმული დავით გურგენიძე, სამწუხაროდ, ხანძარმა შთანთქა ეს შენობა და გარეჯელი მოჭადრაკეები დარჩნენ უბინაოდ. უახლოეს მომავალში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს, სპორტულ გაერთიანებას გადაწყვეტილი აქვთ ნორჩი მოჭადრაკეებისათვის, მათი მწვრთნელებისათვის, ჭადრაკის მრავალრიცხოვანი მოყვარულისათვის სავარჯიშო, სათამაშო პირობების გაუმჯობესება, რაც გაზრდის მათი მუშაობის ეფექტიანობას.

რაც შეეხება ნორჩ მოჭადრაკეებთან მომუშავე მწვრთნელ – პედაგოგებს, შეიძლება ითქვას რომ ქვეყნის მასშტაბით ერთ – ერთი მოწინავე მწვრთნელი–პედეგოგები ემსახურებიან ამ მნიშვნელოვან საქმეს. საქართველოს ჩემპიონების ნანი უნაფქოშვილის და ლევან დალბაშვილის მწვრთნელია ელენე ფარეშიშვილი, რომელიც თვითონ თავის დროზე იყო საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი პირველობების გამარჯვებული, პრიზიორი, საქართველოს გოგონათა ნაკრების წევრი. სასიამოვნო სიურპრიზია, ის რომ ახალგაზრდა საქართვლოს ჩემპიონი 20 წლის ასაკის გოგონებში ნანი უნაფქოშვილი, ასევე წარმატებით ართმევს თავს მწვრთნელი – პედაგოგის მოვალეობას. მიუხედავად მცირე დროისა, რაც ნანიმ შეითავსა მწვრთნელის ფუნქცია, მისი აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან ქვეყნის მასშტაბით. ოსტატობის კანდიდატი, საგარეჯოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე–თავმჯდომარე ***ირაკლი ქვლივიძე*** – საქართველოს ჩემპიონატის ვიცე–ჩემპიონის ნიკა კევლიშვილის მწვრთნელია. აღსანიშნავია, რომ ირაკლის დიდი ამაგი აქვს გაწეული ცნობილი მწვრთნელის ელენე ფარეშიშვილის და საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ტურნირებში გამარჯვებული ეკა ტაბატაძის, როგორც მოჭადრაკეთა ჩამოყალიბებაში. მისმა შეგირდებმა ბევრმა მიაღწია ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატობას. საქართველოს ჭადრაკში ტელეტურნირების გამარჯვებული, ოსტატობის კანდიდატის ***თენგიზ კობიაშვილის*** აღზრდილები არიან კახეთის ჩემპიონები, საქართველოს უმაღლესი ლიგის (8,10წლის გოგონები, ბიჭები) მონაწილენი, სხვადასხვა მემორიალების, სახელობითი ტურნირების გამარჯვებულები, პრიზიორები ეთუნა ხებრელაშვილი, ლუკა გურჯიძე. ამჟამად ეს ნორჩი მოჭადრაკეები მეცადინეობენ ნანი უნაფქოშვილთან, რაც იმედია გაზრდის მათ მიღწევებს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სათანადო ინფრასტრუქტურის სამეცადინო თუ სათამაშო პირობების გაუმჯობესების კვალობაზე ჩვენი მწვრთნელების შედეგები უფრო თვალსაჩინო გახდება.

**ელენე ფარეშიშვილი,** ***მწვრთნელი–პედაგოგი:*** – ჩვენს მუშაობაში სტიმულის მომცემია ის გარემოება, რომ სისტემატურად ვგრძნობთ დახმარებას და მხარდაჭერას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს მხრიდან. განსაკუთრებით მადლობას იმსახურებენ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების დირექტორი გია მაისურაძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტის მთავარი სპეციალ;ისტი გია ხოსიტაშვილი, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებენ ჭადრაკის აღორძინება – განვითარებისთვის. თუ სამუშაო პირობები გაუმჯობესდება შედეგებიც მოიმატებს.

**დავით გურგენიძე** – ***მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში:*** – სასიხარულოა ის ფაქტი რომ გარეჯელი ნორჩი მოჭადრაკეები მსოფლიო არენაზე გავიდნენ. ისინი უკვე წამყვან პოზიციებს იკავებენ საჭადრაკო არენაზე, რაც მწვრთნელებთან ერთად ხელმძღვანელი მუშაკების დამსახურებაც არის. ეს ფაქტი მისაბაძი და მისასალმებელია.

**ფრიდონ ბურდული** – ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.*** – ნორჩი მოჭადრაკეების, მათი მწვრთნელი – პედაგოგების ბოლოდროინდელი შთამბეჭდავი წარმატებები ქმნიან იმის აუცილებლობას, რომ მათ ნორმალური მეცადინეობისათვის, ვარჯიშისთვის, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ჰქონდეთ კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, რაც მომავალში უფრო მაღალი წარმატებების საწინდარი გახდება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკრებულო ყველანაირად ეცდება, რომ უახლოეს მომავალში შევუქმნით ნორმალურ სამუშაო პირობებს. მსოფლიოში სახელგანთქმული მოჭადრაკე – ეტიუდისტის, საერთაშორისო დიდოსტატის დავით გურგენიძის მშობლიური ქალაქი – საგარეჯო, ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მოჭადრაკეებს ჰქონდეთ კეთილმოწყობილი, თანამედროვე მოთხოვნების დონის ჭადრაკის სახლი1

*თენგიზ კობიაშვილი*

<u>სპორტი</u>

## ამჯერად ნონა გაფრინდაშვილის თასი



**8-17 სექტემბერს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ნონა გაფრინდაშვილის თასზე. 10 წლიან ჭაბუკებში სომეხ, აზერბაიჯანელ, ქართველ და სხვა პატარებთან ერთად ასპარეზობდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელის ირაკლი ქვლივიძის აღსაზრდელი **ნიკოლოზ კევლიშვილი.** ამ პატარა საგარეჯოელი მოჭარდაკის წარმატების შესახებ ჩვენს გაზეთს არაერთხელ მოუწოდებია ინფორმაცია სპორტის სახეობის გულშემატკივრებისათვის. როგორც ადრე, ნიკამ არც ამ ტურნირზე უღალატა ჩვეულებას და კვლავ წარმატება იზეიმა. 9 ტურიდან 7 ქულით იგი ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი და ნონა გაფრინდაშვილის თასის მფლობელი გახდა. ამ წარმატებისათვის სხვა ჯილდოებთან ერთად, ნიკოლოზი და მისი მწვრთნელიც ფულადი ჯილდოებით დასაჩუქრდნენ.

აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ ცოტა ადრე ნიკა კევლიშვილი გახდა ფოთში ნანა ალექსანდრიას თასზე ჩატარებული საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და ამ თასის მფლობელი ამავე ასაკში. ისე, რომ ჩვენი პატარა მოჭადრაკის წყალობით ამ ორი დიდი ქართველი მოჭადრაკე ქალის თასები საგარეჯოშია და იმედი ვიქონიოთ თავისი ჯილდოების ამ კოლექციას მომავალში სხვა ჯილდოებითაც გაზრდის.

ჩვენს პატარა ბრძენთა თამაშის „დიდოსტატს“ წინ ელის კიდევ ერთი დიდი გამოცდა: ევროპის ჩემპიონატი, რომელიც 18 ოქტომბერს ბათუმში გაიხსნება. მასთან ერთად ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მოჭადრაკეები: ლუკა გურჯიძე და ლევან დალბაშვილი. ვუსურვოთ ჩვენს გარეჯელ მოჭადრაკეებს ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში წარმატება.

## მილოცვა

**დაბადების** დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის თანამშრომლებს **ზურაბ აბულაშვილსა და გივი დაბახიშვილს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და სიხარულს თავიანთ ლამაზ ოჯახებთან ერთად.

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქციის თანამშრომლები*



**შპს „ჯეო-ჰოსპიტალსის“** მენეჯერმა **კოტე ბრძელიძემ,** ქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელმა **გივი ცეცხლაძემ** და **მიმართულების მედპერსონალმა** დაბადებიდან 82 წლის შესრულება და მასწავლებლის პროფესიული დღე მიულოცეს პაციენტს – მანავის საჯარო სკოლის ყოფილ მასწავლებელს **გუგული კუპატაძეს**.

## სპორტსმენი

# ჩინეთიდან ამერიკაში



**თამაზ კირაკოზაშვილი** სულ 18 წლისაა, მაგრამ თავისი სპორტული მიღწევებით გასცდა საქართველოს ფარგლებს და მისი გვარი უკვე აღმოსავლეთისა თუ ევროპის სპორტულ დარბაზებში ისმის როგორც წარმატებული და პერსპექტიული მოჭიდავისა. პირველად თამაზი 6 წლისა შევიდა ძიუ-დოს სექციაში. რაღა მაინცდამაინც ძიუ-დოს სექცია აირჩია, მაგრამ, თუ მის ფესვებს გადავხედავთ, ვნახავთ,რომ თავად თამაზი გულგრილი არ დარჩებოდა ჭიდაობის ამ სახეობის მიმართ. პაპას, თამაზ კირაკოზაშვილს იმდენად უყვარს და დაინტერესებულია ჭიდაობით, რომ სწორედ ის დაჰყვება აგერ 11 წელიწადია თამაზს მეცადინეობებზე და ხელს უწყობს შეჯიბრებისთვის სერიოზულ მომზადებში. სწორედ მან მიიყვანა გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში 6 წლის თამაზი „ჭიდაობის ნათლობის“ მისაღებად მწვრთნელ გია ხოსიტაშვილთან, შემდეგ კი კახა ყორღანაშვილთან იწვრთნებოდა თამაზი, ბოლოს მამუკა მათიაშვილის „მოწაფეობას“ მიაღწია. თამაზის მამა – გია საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის ძიუ-დოში, მაგრამ ტრავმის შემდეგ მიუხედავად დიდი სურვილისა, თავი დაანება აქტიურ სპორტს, ბიძა – რამაზი საბჭოთა კავშირის ტურნირის მესამე ადგილის მფლობელია ახალგაზრდებს შორის, მაგრამ... მასაც ტრავმებმა შეუშალა ხელი აქტიური სპორტული ცხოვრების გაგრძელებაში.

თამაზიმ პირველი გამარჯვება ახმეტაში, ექვსი წლისამ მოიპოვა, შემდეგ 6-ჯერ მოიგო საქართველოს პირველობა სხვადასხვა დროის ასაკობრივ ტურნირებში.

ზაფხულის მიწურულს თამაზი ჩინეთში იბრძოდა მსოფლიო ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ძიუ-დოში. მან მეორე ადგილი დაიკავა. ამ დღეებში თამაზი რედაქციაში გვესტუმრა, გვიამბო თავის სპორტულ გზაზე და გულდაწყვეტით გვითხრა – ყველა შეხვედრას ვიგებ, მაგრამ ბოლოს მეორე ადგილას გამოვდივარო. თუმცა, ჩვენი აზრით, მის ასაკსა და წონაში (81კგ) არც მეორე ადგილია ურიგო. საამაყო იყო ისიც, რომ ჩინეთში ამ თამაშებში მონაწილეობის მიღების უფლება საქართველოდან მხოლოდ მას ჰქონდა. არც ესაა ცოტა ახალგაზრდა ძიუდოისტისთვის. ალბათ მასში პერსპექტივებს ხედავენ, თორემ ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს არ მისცემდნენ ახალგაზრდებს შორის ოქტომბრის ბოლოსათვის.

ჩინეთიდან დიდი შთაბეჭდილებებით დაგვიბრუნდა თამაზი. – ჩინელებს ძალიან უყვართ თავიანთი ქვეყანა, ისეთი წესრიგია და ისეთი თაყვანისცემა ერთმანეთის მიმართ, გაგიკვირდებათ. უფრთხილდებიან და ეამაყებათ ჩინეთი ჩინელებს. ასევე არიან იაპონელებიც. როცა იაპონიაში ვიყავი სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად, მართლაც რომ გამიკვირდა მათი პუნქტუალურობა, წესრიგი და ერთმანეთისადმი პატივისცემა. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან უნდა გადმოვიღოთ ჩვენ ის ღირებულებები, რაც ჩვენ არასაკმარისი დოზით გვაქვსო,– დასძინა საუბარში.

წარმატებები და ტატამზე საქართველოს, საგარეჯოსა და მშობლიური ჩაილურის დაფასება ვუსურვოთ თამაზის.


## გთავაზობთ

1. გერმანული (ORACAL) ფირმის მეშვეობით თვითწებადი წარწერების, ფირმის ლოგოს, სტიკერების დამზადებას.

2. მცირეტირაჟიანი პროდუქციის წებოვანი ეტიკეტების ფერად ბეჭდვას.

3. ფერად ფლაერებს, ბუკლეტებს, სავიზიტო ბარათებს ლაზერული და მეტალიზებული ბეჭდვით.

4. დესკსტოპ კომპიუტერების შეკეთება-გაძლიერებას და მის აქსესუარებს. დაგეხმარებით თქვენი ფირმის თუ ორგანიზაციის საფირმო ლოგოს დამზადებაში.

5. მაისურზე, ჭიქაზე ფერად ბეჭდვას თქვენი დიზაინით, სარკეზე გრავირებას. ანგარიშსწორება ნაღდი და გადარიცხვით.

დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენს საიტზე:
WWW.madstudio.ge
email: madstudioge@yahoo.com
support@madstudio.ge
599 172622. საგარეჯო.


## თქვენთვის დიასახლისებო

### მწვანე აჯიკა

**საჭიროა:** ბულგარული მწვანე წიწაკა – 1კგ, ცხარე წიწაკა – 500 გრ. აყვავებული ქინძი – 4-5 კონა, ოხრახუში – 4 კონა, კამა – 3 კონა, ნიახური, ქონდარი, რეჰანი – თითო დიდი კონა, ნიორი – 800 გრ. უცხო სუნელი, ხმელი ქინძი, ზაფრანი – 100-100 გრ, მარილი – გემოვნებით.

გარეცხილი, კარგად გამშრალი მწვანილეული გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, შევანელოთ მარილით და სამი დღე დავდგათ. დროდადრო ვურიოთ ხის კოვზით. ჩავასხათ 200 გრამიან ქილებში.

### წითელი აჯიკა

**საჭიროა**: ცხარე წითელი წიწაკა – 500 გრ. ბულგარული წიწაკა – 1კგ, ოხრახუში, ქინძი, ცერეცო – 200-200გრ. რეჰანი, ნიახური, ნიორი – 100-100გრ. უცხო სუნელი, ზაფრანი, ხმელი ქინძი – თითო ს/კ, მარილი – გემოვნებით.

ბულგარული და წითელი წიწაკები გავრეცხოთ და გავაშროთ. შემდეგ გამოვაცალოთ თესლი და გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში. ასევე გარეცხილი და გამშრალი აყვავებული ქინძი, ოხრახუში, ცერეცო, ნიორი, ნიახური, გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, დავუმატოთ უცხო სუნელი და ხმელი ქინძი, მარილი, ზაფრანი; კარგად ავურიოთ, გავაჩეროთ მომინანქრებულ ჭურჭელში, როცა დადუღდება, ჩავასხათ ბოთლებში.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის საბჭოს წევრები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარეს ბ-ნ რომან ზუკაკიშვილს დედის

**მარგალიტა ასთაგიშვილის**

გარდაცვალების გამო.

# ხსოვნა

## რობიზონ (რობა) როსტიაშვილი



**ჩემო** საყვარელო შვილო, რობა! რა ულმობელი და დაუნდობელია დრო და წუთისოფელი. ჩვენ ხომ ისედაც წუთისოფლის სტუმრები ვართ და ეს სტუმრობა ამ ქვეყანაზე ძლიერი ტკივილებით აღსავსეა. ტკივილს სიხარული ცვლის, დღეს – ღამე, საშინელ მონატრებას კი ვერაფერი შველის. დედას, რომელსაც შვილი უკვდება, ამქვეყნიური აღარაფერი ახარებს. ასეთი დედა მარტო სულიერად ჰგავს ცოცხალს, თორემ დანარჩენი მკვდარია.

არ არსებობს დედისათვის იმაზე დიდი ტკივილი,რასაც შვილის სიკვდილი ჰქვია. მაგრამ ადამიანი,რომელიც თითქმის ყველას და ყველაფერს უპირისპირდება, სიკვდილთან ძალიან სუსტია. ასეთი სუსტი გამოვდექი, შვილო, მეც შენს წინაშე,როცა შველა გინდოდა და მთხოვე,მეშველა, ვერაფერი გიშველე და ხელებში ჩამაკვდი. არ დამავიწყდება ის თვალები, რომლითაც დედას გამოხედე და შველა სთხოვე. ვაი, რა უძლური იყო დედა იმ წუთას!

ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, შვილო. რამდენადაც ერთმანეთი გვიყვარდა, იმდენად მითამამდებოდი და მაბრაზებდი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სიყვარულში ვინმეს ეჭვი შეეპაროს. ზუსტადაც, რომ უზომოდ მიყვარდი, სულ უკან დაგდევდი, გიჟი დედასავით, სულ რაღაცის მეშინოდა. ალბათ, დედის გული გრძნობდა რაღაცას. სულ იმას გეუბნებოდი,შვილო, თავს გაუფრთხილდი, თავი არ მოიკლა – მეთქი. მე რისი მეშინოდა,არ ვიცი,მაგრამ შენ და შენს ფილტვებს თურმე მართლა დაცვა გჭირდებოდათ. ამას ვერ წარმოვიდგენდი,არასოდეს ცუდად არა მყოლიხარ. მხოლოდ ერთხელ გახდი შეუძლოდ, შეაწუხე შენი ავადმყოფობით დედა და ოჯახი,მაგრამ ვერაფერი გიშველეთ.

ჩემო საყვარელო შვილო! მენატრები უზომოდ, მაგრამ,არ ვიცი ამ მონატრებას რა მოვუხერხო. ხშირად რეალობას გავურბივარ და ფიქრებით შენთან მოვდივარ, მაგრამ არაფერი მშველის. ბოლოს მაინც ვუბრუნდები ამ ქვეყნიერებას. ვიხსენებ იმ ავბედით 8 მარტს, ექიმებს საშველად შენი ფეხით რომ გაჰყევი, მაგრამ სახლში ვეღარ დაბრუნდი. დარჩა შენი სახლი უპატრონოდ, სახლი, რომელიც უზომოდ გიყვარდა დედას დაუტოვე ტკივილად.

მინდოდა ბედნიერი ყოფილიყავი, შვილო! გყოლოდა ოჯახი,ბევრი შვილები და გახარებული მენახე. მაგრამ ეს ყველაფერი შენთვისაც და ჩემთვისაც აუხდენელ ოცნებად დარჩა.

ხანდახან ძალიან მეოცნებე იყავი. დაჯდებოდი და უცბად ლექსს მოიფიქრებდი ხოლმე. ზოგს ვიმახსოვრებდი, ზოგს ვერა. ახლა მინდა ორი პატარა ლექსი გავიხსენო, რომლებიც მეც და შენც ძალიან გვიყვარდა.

„ჩემი ოცნების ქალი ხარ,
ფიქრებში მრავლად ნახატი,
მიყვარხარ, მეტი რა გითხრა,
გული მაქვს ძლიერ ტანჯული.
მხოლოდ შენ შეძლებ რომ ამ გულს
სიცოცხლე შეუნარჩუნო,
მოხვიდე, ნაზად მაკოცო
და გული შენი მაჩუქო“

„ცხოვრებაში ბევრი რამ ვნახე,
ვნახე თუ, როგორ იცვლება დრონი,
იცვლება ხალხი, იცვლება მათი წყობა და ფასი,
რადგან ცხოვრება დროებითია.
დროებითია ყველაფრის ფასიც.
მე ვხედავ ამას და მე არ მიკვირს,
ასე ხშირად რომ იცვლება კაცი,
მე კი არ მინდა ამ ხალხს რომ ვგავდე,
მინდა რომ მქონდეს სულ ერთი ფასი“.

ზუსტად ასეა,შვილო. შენ მართლა არ ჰგავდი სხვა ხალხს და მართლაც ერთი ფასი გქონდა დედისთვის და ოჯახისთვის.

დედას დარჩა მარტო შენი სურათები და ეს მოგონებები, რომლებიც თავში უთავბოლოდ მიტრიალებს. ვათვალიერებ ამ ყველაფერს და გული სიცარიელით მევსება. მენატრები უზომოდ. მინდა დაგინახო, მინდა ჩაგეხუტო, მოგეფერო, დაგიკოცნო ხელები, ჩაგიკრა გულში და ვიგრძნო შენი სითბო, რომელიც დედის მიმართ გქონდა. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ მარტო ოცნებაა,ჩემო საყვარელო. ოცნებიდან გამორკვეულ დედას საშინელი გმინვა და ტანჯვის განცდა აღმომხდება ხოლმე გულიდან.

გული მეწვის და მეტანჯება, გული შენთან მოსვლას და მოფერებას ითხოვს, მაგრამ მე ვერაფერს ვახერხებ, რომ შენთან მოვაღწიო.

ალბათ ყველაფერი უფლის ნებაა, შვილო! მოვა ჩემი დროც, მოვალ შენთან და მარადისობაში ერთად გავაგრძელებთ ცხოვრებას.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, შვილო რობა!

*დედა*


რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru